

SOS ბავშვთა სოფელი მთავარი გზავნილები



SOS ბავშვთა
სოფელი
საქართველო



მთავარი გზავნილები

ჩვენ ვართ...

SOS ბავშვთა სოფელი არის მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვებს იცხოვრონ სიყვარულით სავსე ოჯახში მათ მშობლებთან ან მზრუნველ პირებთან ერთად.

ჩვენი მიზანი

ყველა ბავშვს სრულფასოვანი განვითარებისთვის ესაჭიროება სიყვარულით სავსე ოჯახი. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ოჯახებს ბავშვის ჯანსაღი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნაში.

ჩვენი ქმედებები

დასახული მიზნის მისაღწევად, საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი მეგობრებისა და დონორების მხარდაჭერით ახორციელებს სხვადასხვა სახის პროგრამას. კონკრეტული ღონისძიებების ინიცირებით და თემში პარტნიორებთან თანამშრომლობით, ბავშვებს საშუალება ეძლევათ მშობლების ან მზრუნველების თანადგომით, აღიზარდონ და-ძმებთან ერთად სიყვარულით სავსე ოჯახში.

ჩვენი მიდგომა

ჩვენ გვჯერა, რომ თითოეული ბავშვი უნდა აღიზარდოს მზრუნველ ოჯახურ გარემოში. ჩვენი საქმიანობით, ჩვენ ვეხმარებით ბავშვებს იცხოვრონ სიყვარულით სავსე ოჯახში, სადაც ისინი შეინარჩუნებენ ბავშვობას. ჩვენ ვეხმარებით ოჯახებს იზრუნონ საკუთარ შვილებზე; ხოლო იმ შემთხვევაში თუ ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში ცხოვრება ვერ ხერხდება, ჩვენ ვთავაზობთ მათ ხარისხიან ალტერნატიულ ზრუნვას.

ჩვენ საქმიანობის ძირითადი სფერო

ჩვენი საქმიანობის ძირითადი სფეროა ბავშვებზე და ახალგაზრდებზე ზრუნვა და ხანგრძლივი დროით, მათი განათლებისა და ზოგადი განვითარების ხელშეწყობა, რათა შემდგომში თავად შეძლონ ცხოვრებისეული სირთულეების დამოუკიდებლად გადალახვა.

ჩვენი უნიკალურობა

ჩვენ ვაკმაყოფილებთ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ჩვენ ვარგად შევისწავლით თითოეულ ბავშვს და მათთან ერთად ვქმნით ინდივიდუალური განვითარების გეგმას. ჩვენ ვაგრძელებთ მათ დახმარებასა და მხარდაჭერას ვიდრე ახალგაზრდა არ იქნება მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ბავშვი არის უნიკალური, ჩვენი მრავალმხრივი გამოცდილებით შეგვიძლია განვაცხადოთ შემდეგი: ბავშვებს ესაჭიროებათ გრძელვადიანი, მყარი და სიცოცხლისუნარიანი ურთიერთობა, რომელიც ვითარდება მხოლოდ მზრუნველი და სიყვარულით სავსე ოჯახურ გარემოში.

ჩვენი მემობრები

SOS ბავშვთა სოფელს ესაჭიროება რეგულარული მხარდაჭერა მემობრების, ფონდებისა და პარტნიორი ორგანიზაციებისგან, რათა ათასობით სოციალურად დაუცველ ბავშვს შევუქმნათ სიყვარულით სავსე და მყუდრო ოჯახური გარემო.

სოციალური მნიშვნელობები



რისკის წინაშე მყოფი ბავშვი

ზოგჯერ მშობლებს არ ძალუძთ დამოუკიდებლად საკუთარ შვილებზე ზრუნვა; ზოგჯერ ბავშვები კარგავენ მშობლებს ან არაფერი იციან მათ შესახებ. სწორედ ესენი არიან ის ბავშვები, ვისაც ჩვენ ვეხმარებით.



სოფელი – ბავშვზე ორიენტირებული მემობრული გარემო

სოფელი არის თემის ნაწილი და იგი წარმოადგენს ბავშვების აღზრდისთვის შესაფერის გარემოს, სადაც მათი საჭიროებები გათვალისწინებულია. ამ გარემოში მათ ეძლევათ შესაძლებლობა გახდნენ თავდაჭერებულნი და განვითარდნენ თემის მხარდაჭერით.



მშობელი

ჩვენი მიზანია მშობლებმა და აღზრდელებმა ბავშვებს შეუქმნან უსაფრთხო და სიყვარულით სავსე გარემო და გრძელვადიანი ურთიერთობების შენარჩუნებით, უზრუნველყონ ბავშვების მუდმივი მხარდაჭერა და წახალისება.



დედმამიშვილობა

ჩვენი მიზანია ოჯახის წევრები არ დაშორდნენ ერთმანეთს. თუ ეს შეუძლებელია, ჩვენ ვუზრუნველყოფთ დედმამიშვილების ერთად აღზრდას და მათი საერთო ისტორიის შექმნა-შენარჩუნებას.



ოჯახი

ყველა ბავშვი უნდა იზრდებოდეს ოჯახში, რათა ხელი შეეწყოს მათი პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას.



სახლი

ყველა ბავშვის უფლებაა ჰქონდეს სახლი. ჩვენ ვეხმარებით ოჯახებს კეთილსაიმედო გარემოს შექმნაში, რათა ბავშვებმა თავი იგრძნობენ დაცულად და უსაფრთხოდ.



ბედნიერი ბავშვობის წუთები

ჩვენი მიზანია ბავშვებს შევუწარმოთ ბავშვობა სიყვარულით სავსე გარემოში, რომელიც შეუქმნის მათ ტკბილ მოგონებებს.



ბავშვობა კულტურული

მრავალფეროვნების კონტექსტში

ჩვენი მიზანია დავეხმაროთ თითოეულ ბავშვს შეძლოს საკუთარი ღირებულებების ჩამოყალიბება და პატივი სცეს როგორც საკუთარ, ისე სხვების მრწამსსა და კულტურულ თავისებურებებს.



ბანათლება და პიროვნული ზრდა

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ თითოეული ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას, რათა მან შეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა წევრმა.



SOS ბავშვთა
სოფელი
საქართველო

www.sos-childrensvillages.ge

